

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო კურსის სილაბუსი

სასწავლო კურსის სახელწოდება : გეოეკოლოგიის საფუძვლები

სასწავლო კურსის კოდი : Z.1.G.52

ლექტორები: ელიზბარ ელიზბარაშვილი, პროფესორი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, გეოგრაფიის კათედრა, ტელ: 599-73-58-86, e-mail : eelizbar@hotmail.com კონსულტაციების დრო და ადგილი: ყოველი სასწავლო კვირის სამშაბათი, 12 საათიდან თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის IV სართული, გეოგრაფიის კათედრა.

ვლადიმერ გორგიშელი, დოქტორანტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, გეოგრაფიის კათედრა, ტელ: 593645738.

კრედიტების რაოდენობა (ECTS): 5 კრედიტი, (125სთ.) საკონტაქტო 45სთ. მათ შორის: 15სთ. ლექცია; 30სთ. პრაქტიკული. დამოუკიდებელი მუშაობისთვის 80სთ.

სასწავლო კურსის სტატუსი: სავალდებულო კურსი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის სპეციალობის სტუდენტებისათვის ბაკალავრიატში II სემესტრში და დამატებითი (მინორ) სპეციალობის « საზოგადოებრივი გეოგრაფია » სტუდენტებისათვის VIII სემესტრში.

სასწავლო კურსის მიზნები: კურსის მიზანია სტუდენტები გაეცნონ გარემოსმცოდნეობის ძირითად ამოცანებს, გაერკვნენ თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს ეკოლოგიურ პრობლემებში, გეოგრაფიული გარემოს მდგომარეობის, კარტოგრაფირების, მოდელირების, პროგნოზირების და დაცვის საკითხებში

სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები: არა აქვს

სასწავლო კურსის სწავლის შედეგები :

ცოდნა და გაცნობიერება	აღიქვამს და ესმის დედამიწაზე მიმდინარე პროცესები და პლანეტაზე მათი გავლენის შედეგები სივრცესა და დროში. აცნობიერებს გლობალურ დონეზე სოციალურ-ეკონომიკური პროცესების	ერკვევა თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს ეკოლოგიურ პრობლემებში, გეოგრაფიული გარემოს მდგომარეობის, კარტოგრაფირების, მოდელირების, პროგნოზირების და დაცვის საკითხებში. აცნობიერებს გლობალურ დონეზე ბუნებრივი პროცესების მიმდინარეობის
-----------------------	--	---

	მიმდინარეობის თავისებურებებს. აცნობიერებს ურთიერთდამოკიდებულებას ბუნებრივ და სოციალურ გარემოს შორის და შეუძლია მისი შედეგების შემოწმება	თავისებურებებს, ურთიერთდამოკიდებულებას ბუნებრივ და სოციალურ გარემოს შორის.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ შეასრულოს მარტივი დავალებები	შეუძლია მიღებული შედეგების შემოწმება. განსაზღვრავს გეოგრაფიული მეცნიერებების გამოყენების შესაძლებლობებს, მათ როლს საზოგადოებაში
daskvni s unari	SeeZl eba dakvi rvebebi s safuZvel ze daskvnebi s gamotana	SeeZl eba moaxdin os mi Rebul i informaciis anal izi da sinTezi, gaakeTos saTanado daskvnebi, kvl evis Sedegebis prezentacia
komunikaciis unari	icnobs da iyenebs Tanamedrove sainformacio da sakomunikacio teqnol ogiebs	• SeuZl ia sxvadasxva wyarodan informaciis miReba, damuSaveba, anal izi da monacemebis interpretacia
swavl is unari	SeuZl ia damoukidebl ad da sxvisi xel mZRvanel obi T swavl a	SeeZl eba mudmivad gaecnos da daeuflos siaxlebs kl imatol ogiaSi
Rirebul ebebi	icnobs profesiul i saqmi anobi sTvis damaxasiaTebel Rirebul ebebs	SeeZl eba msj el oba sivrciT da droiT konteqstSi, SeeZl eba j gufSi muSaoba

სასწავლო კურსის შინაარსი:

1 კვირა

თემა1. გარემოსმცოდნეობის საგანი და ძირითადი ამოცანები. თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი ეკოლოგიური პრობლემები და გარემოსმცოდნეობის როლი ამ პრობლემების გადაწყვეტაში. გარემოსმცოდნეობის კავშირი სხვა საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებებთან. ლიტ: [1]-გვ.3-5

2-3 კვირა

თემა 2. დედამიწა, როგორც პლანეტა. ზოგადი ცნებები. დედამიწის ფორმა და ზომები. დედამიწის სითბო და მაგნიტური ველი. დედამიწის მოძრაობა ორბიტაზე და ღერძის გარშემო, მისი შედეგები. დედამიწის ასაკი. ლიტ: - [1]-გვ.5-12; [2] – გვ.75-105 .

4-5 კვირა

თემა 3. დედამიწის შემადგენელი გარსები. ლითოსფერო. დედამიწის შინაგანი აგებულების ძირითადი ნიშნები. დედამიწის ქერქის ტიპები. ხმელეთისა და წყლის დანაწილება. მსოფლიო ოკეანის დაყოფა. ოკეანის დინებები. ოკეანის წყლის მარილიანობა. შავი ზღვა. ატმოსფეროს ზოგადი თვისებები. ატმოსფეროს აღნაგობა და შედგენილობა, მისი ევოლუცია. ატმოსფეროს წნევა. ატმოსფეროში მოქმედი ძალები. ლიტ: [1] გვ.12-18 ; [2] – გვ. 106-127; გვ. 139- 144; გვ.155-165;

6-7 კვირა

თემა 4. გეოგრაფიული გარემო. გარემოს ძირითადი კომპონენტები. მათი შეფასება და ანალიზი. ბუნებრივი რესურსები. კლიმატი. წყლის რესურსები. ნიადაგები. მცენარეული საფარი და ცხოველთა სამყარო. ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსები და გეოსისტემა. ლიტ: [1] გვ.18-28

8-9 კვირა

თემა 5. გარემოს მდგომარეობის კარტოგრაფირება და მოდელირება. ბუნებრივი კომპონენტების კარტოგრაფირება. რუკათა კლასიფიკაცია მასშტაბის, ტერიტორიის მოცულობის, შინაარსის და გამოყენების მიხედვით. ზოგადგეოგრაფიული და თემატური რუკები. გეოგრაფიული ატლასები. მათემატიკური სტატისტიკის, რეგრესიული და კორელაციური ანალიზის გამოყენება ბუნებრივი კომპონენტების მოდელირებაში. ლიტ: [1]- გვ.43-48

10-11 კვირა

თემა 6. თანამედროვეობის მნიშვნელოვანი ეკოლოგიური პრობლემები. ატმოსფეროს გაბინძურება და მისი გავლენა ადამიანზე, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროზე. ატმოსფეროს გლობალური გაბინძურება, ქალაქის კლიმატის ანტროპოგენური ცვლილება. გლობალური დათბობა და გაუდაბნობა. ჰიდროსფეროს ეკოლოგიური პრობლემები. წყლის ძირითადი მომხმარებლები, სამეურნეო მოღვაწეობის გავლენა ხმელეთის წყლებზე, მსოფლიო ოკეანის დაბინძურების წყაროები და სახეობები. მსოფლიო ოკეანის წყლების გაჭუჭყიანების თანამედროვე მდგომარეობა. მსოფლიო ოკეანეს კომპლექსური გლობალური მონიტორინგი.

ლითოსფეროს ეკოლოგიური პრობლემები. ღვარცოფები და მეწყერები. მათი სახეობები.

ლიტერატურა: ლიტ: [1]- გვ. [3]-გვ.155-205;

12-13 კვირა

თემა 7. გარემოს მდგომარეობის პროგნოზირება. გლობალური განვითარების პროგნოზები მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის სცენარებით. ბიოსფეროს წარსული, ევოლუცია და მომავალი. ლიტ: [1] გვ.48-56

14-15 კვირა

თემა 8. გარემოს დაცვა. ატმოსფეროს დაცვა დამაბინძურებისაგან. ზედაპირული წყლების მონიტორინგი, მათი ხარისხის შეფასების მეთოდები. წყლის ობიექტების დაცვა. მსოფლიო ოკეანის დაცვა დაბინძურებისაგან. ზღვის წყლის თვითდასუფთავების პროცესები. დამაბინძურებელი ნივთიერებების გავლენა ზღვის ორგანიზმებზე. მსოფლიო ოკეანის კომპლექსური გლობალური მონიტორინგი. ლიტ: [1] გვ.56-60

სწავლებისა და სწავლის მეთოდები: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული, წერითი და ზეპირი გამოკითხვა, კოლოკიუმი, პრეზენტაცია

შეფასების კრიტერიუმები: (იხ. ჰტტპ://ტესაუ.ედუ.გე/?პ=3848#მორე-3848)

შეფასების 100% გადანაწილება შემდეგი სახით:

შუალედური შეფასება _ მაქსიმალური 60%

მათ შორის: 2 წერითი სამუშაო – 30% (15% X 2).

პირველი წერა ჩატარდება სემესტრის I ნახევარში, მეორე – სემესტრის ბოლოს. წერის თარიღსა და თემატიკაზე სტუდენტები წინასწარ იქნებიან ინფორმირებულნი. წერის ხანგრძლივობა 50 წთ.

4 სემინარული მეცადინეობა _ 20% (5% X 4).

ეს 20% უნდა დაგროვდეს მთელი სემესტრის განმავლობაში სემინარებზე მონაწილეობით.

1 ზეპირი პრეზენტაცია _ 10%.

საპრეზენტაციო თემას სტუდენტები შეარჩევენ საკუთარი სურვილით გავლილი თემატიკიდან, ხოლო პრეზენტაციის თარიღსა და დროს შეათანხმებენ პროფესორთან. რეგლამენტი 10-15 წთ.

დასკვნითი გამოცდა _ მაქსიმალური 40%

დასკვნითი გამოცდა ჩატარდება, როგორც წესი, წერითი სახით. G გამოცდის ხანგრძლივობა 2 სთ.

შეფასებები არსებობს შემდეგი სახის:

ა) (A) ფრიადი _მაქსიმალური შეფასება 91% და მეტი

ბ) (B) ძალიან კარგი _ მაქსიმალური შეფასების 81-90%

გ) (C) კარგი _ მაქსიმალური შეფასების 71-80%

დ) (D) დამაკმაყოფილებელი _ მაქსიმალური შეფასების 61-70%

ე) (E) საკმარისი _ მაქსიმალური შეფასების 51-60%

უარყოფითი შეფასებებია:

ა) (FX) ვერ ჩააბარა _ მაქსიმალური შეფასების 41-50% (აქვს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება)

ბ) (F) ჩაიჭრა _ მაქსიმალური შეფასება 40% და ნაკლები (საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი)

ძირითადი ლიტერატურა 1. ელიზბარაშვილი, ე., (2007), გარემოცმცოდნეობის შესავალი, სალექციო კურსი, ელექტრონული ვერსია, თესაუ ბიბლიოთეკა.

2. ალფენიძე, მ., ელიზბარაშვილი, ე., ხარაძე, კ., (2003), ზოგადი ფიზიკური გეოგრაფია, თბ., თსუ, თესაუ ბიბლიოთეკა

დამხმარე ლიტერატურა : . 3. Владимир, А.М, Ю.И.Ляхин, Ю.И., Матвеев, Л.Т., Орлов, В.Г., (1991), Охрана окружающей среды, Ленинград, Гидрометеиздат, პირადი ბიბლიოთეკა.